



თიბისი კაპიტალი

მაკრო-სექტორული განახლება

ეკონომიკის გადაჭრითვა

01.07.2021

ძირითადი მიზნები

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

- ▶ საქართველოს მშპ-ის ზრდა მოსალოდნელზე ძლიერია
- ▶ მნიშვნელოვანია, რომ მაღალი ზრდა მხოლოდ ნაწილობრივ არის განპირობებული ტურისტული შემოსავლების აღდგენით
- ▶ თიბისი კაპიტალის პროგნოზით, 2019 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის 40% 2021 წელს აღდგება, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელი 2019 წლის 90%-ს მიაღწევს
- ▶ პროგნოზის მიხედვით, საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა 2021 წელს დაახლოებით 10.5% იქნება, 2022 წელს კი - 6.5%
- ▶ ინფლაცია 2021 წლის ბოლოსთვის 7.4%-ს მიაღწევს, 2022 წლისთვის კი 3%-იან სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება
- ▶ ინფლაციის შემცირებისა და ტურისტული შემოღინებების სრულად აღდგენის ფონზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შერბილებაა მოსალოდნელი
- ▶ დოლარი/ლარის კურსი წლის ბოლოსთვის 3.0-3.3 ინტერვალშია ნაწარაუდები

მოსალოდნელი ზეგავლენა ბიზნეს სექტორზე

- ▶ საერთაშორისო ინდექსები: სექტორების უმეტესობა ზრდას განაგრძობს; პრე-კრიზისულ დონეს ავიაციის და ნავთობის & გაზის ინდუსტრიები ჩამორჩება
- ▶ შერჩეულ ქვეყნებში ტურისტული ვიზიტების აღდგენა არაერთგვაროვანია
- ▶ სასტუმროები: გაუმჯობესებული ტურიზმის პროგნოზის, დატვირთულობისა და უნაღდო დანახარჯების ეტაპობრივი აღდგენის გათვალისწინებით, განახლებული მოლოდინებით, RevPAR 2023 წელს პრე-პანდემიურ დონეს 12%-ით ჩამოუვარდება
- ▶ დეველოპმენტი: თბილისში გაყიდვების დინამიკის აღდგენის და იჭარის შემოსავლიანობის გაუმჯობესების გათვალისწინებით, გაყიდვები კრიზისამდელ ნიშნულს 2021 წელს გადააჭარბებს




მაკრო ეკონომიკა

მშპ-ის ზრდა მოსალოდნელზე ძლიერია

მაკრო მიმოხილვა

მშპ-ის რეალური ზრდა



2021 წლის მაისში მშპ-ის 25.8%- იან ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა სექტორებმა :

- > დამამუშავებელი მრეწველობა
- > საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა
- > ვაჭრობა
- > უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა
- > სასტუმროები და რესტორნები
- > მშენებლობა
- > ტრანსპორტი და დასაწყობება



ეკონომიკური ზრდის ფაქტორები


ზრდა მხოლოდ ნაწილობრივ არის განპირობებული
ტურისტული სექტორის აღდგენით

ექსპორტის ზრდა ქლივრია უმეტესწილად ადგილობრივი ექსპორტის ხარჯზე

მაკრო მიმოხილვა

ექსპორტი

(%, აშშ დოლარში)




ასევე იმპორტის ზრდაც, თურიზმთან დაკავშირებული იმპორტისა და რე-ექსპორტის ჯერ კიდევ მოსალოდნელი აღდგენის ფონზე

მაკრო ეკონომიკა

იმპორტი

(%, აშშ დოლარში)




გზავნილების ზრდამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა

მაკრო მიმოხილვა

ფულადი გზავნილები

(%, აშშ დოლარში)



შენიშვნა: 2021 წლის აპრილამდე, წლიური ზრდის გარკვეული ნაწილი ჩაკეტილი საზღვრების გამო ელექტრონული საშუალებებით გადმორიცხვების ზრდის ეფექტს ასახავს

წყარო: სებ

საკრედიტო აქტივობა არც შემცირებულა

მაკრო მიმოხილვა

საბანკო სესხები

(%, ლარში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)




ფისკალური სტიმული 2021 წელსაც ძლიერია

მაკრო მიმოხილვა

ბიუჯეტის დეფიციტი

(ცვლილება, მლნ ლარი)



ტურისტული შემოსავლების აღდგენა მოსალოდნელზე სწრაფია

მაკრო მიმოხილვა

ტურისტული შემოსავლები

(% აშშ დოლარში, 2019-თან შედარებით)



შენიშვნა: თიბისის ციფრული არხებისთვის მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს ბრუნვის ჯამური დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის ცვლილების, ასევე თიბისი ბანკის საბაზრო წილის ცვლილების გამო

ვაქცინაცია საქართველოს ტურიზმისათვის მნიშვნელოვან ქვეყნებში



ეპიდემიოლოგიური ვითარება საქართველოში 28 ივნისის მდგომარეობით:

- > საშუალოდ, 663 ახალი შემთხვევა ბოლო კვირის განმავლობაში
- > 2.34% დადებითობის მაჩვენებელი ბოლო კვირის განმავლობაში
- > 8 107 აქტიური შემთხვევა
- > 350 466 გამოჯანმრთელებული
- > მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს აქვს გარკვეული ბუნებრივი იმუნიტეტი ვირუსის წინააღმდეგ^[2]
- > მოსახლეობის 5.6%-მა მიიღო ვაქცინის ერთი დოზა მაინც

[1] მინიმუმ ერთი დოზით აცრილი მოსახლეობა


[2] იმ ადამიანთა რეალური რაოდენობის შესაფასებლად, ვინც ვირუსი გადაიტანა, რეგისტრირებულ გამოჯანმრთელებულთა რიცხვი გამრავლებულია 2.5-ზე

2019 წლის განმავლობაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის 40% 2021 წელს აღდგება, 2022 წლის მარჯვენახელი კი 2019 წლის 90%-ს მიაღწევს

მაკრო მიმოხილვა

ტურიზმიდან შემოსავლები


(% ცვლილება, აშშ დოლარში, 2021 წლიდან 2019 თან შედარებით)



სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მშპ-ის ზრდის მოლოდინები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა როგორც 2021 წლისთვის, ასევე ჯამურად 2021-2022 წლებისთვის

მაკრო მიმოხილვა

მსოფლიო ბანკის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები 2021 წლის ივნისის მდგომარეობით



საქართველოს მშპ-ის ზრდის პროგნოზი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

მაკრო მიმოხილვა

ძირითადი მაკროპარამეტრების პროგნოზი 2021 და 2022 წლებისათვის თიბისი კაპიტალის მიხედვით

წლიური ზრდა, %

	2020	2021		2022	
		აპრილის პროგნოზი	განახლებული პროგნოზი	აპრილის პროგნოზი	განახლებული პროგნოზი
ექსპორტი*	-12.0	+16.5	+23.5	+12.0	+12.0
ტურიზმი*	-84.0	+47.9% / -75% rel. to 2019	+138.7% / -60% rel. to 2019	+267.8% / -10% rel. to 2019	+128.6% / -10% rel. to 2019
მზავნილება*	+5.5 ¹	+18.0	+24.5	+10.0	+11.0
FDI*	-30.5 ²	+10.0	+10.0	+30.0	+30.0
საქონლისა და მომსახურების იკპორტი*	-20.0	+14.5	+21.0	+19.0	+18.0
ბიუჯეტის დეფიციტი**	9.3	7.6	7.1	4.4	4.4
საბანკო კრედიტი***	+9.1	+12.0	+16.2	+14.0	+13.6
მშპ-ის ზრდა	-6.2%	+5.5%	+10.5%	+7.0%	+6.5%

*ზრდა აშშ დოლარში ** მშპ-თან ფარდობა, ფინანსთა სამინისტროს დაგეგმილი მაჩვენებელი, IMF-ის მეთოდოლოგია ***პერიოდის ბოლო, მუდმივი გაცვლით კურსით. მშპ-ის პროგნოზისათვის გამოყენებულია ინფლაციით შესწორებული პერიოდის საშუალო სესხების ზრდა. ასევე, მშპ-ის ზრდის შეფასება ეყრდნობა შემოდინებების შეფასებას რეალურ გამოსახულებაში ლარში და არა აშშ დოლარში. ამასთან, ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების ეკონომიკის ზრდაზე ზეგავლენის მხრივ გამოყენებულია სხვადასხვა დაშვება

შესწორებულია ჩაკეტილი საზღვრების გამო შემცირებული ნაღდი ფულადი შემოდინებების გათვალისწინებით
2020 წლის მე-4 კვარტალში ინვესტიციების შემცირების მთავარი მიზეზი რამდენიმე საწარმოს რეზიდენტის მფლობელობაში გადასვლა იყო, რაც არ იყო დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინებასთან, თუმცა ინვესტიციები დაახლ. 295 მლნ. აშშ დოლარით შეამცირა. ამ კომპონენტის შესწორებით პირდაპირი ინვესტიციები 30.5%-ით დაეცა, შესწორების გარეშე კი - 52.9%-ით

წყარო: საქსტატი, სებ, ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

ლარის გამყარების მიზნები - ტურიზმის აღდგენა მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია

მაკრო მიმოხილვა



ექსპორტი/ იმპორტი

ექსპორტი

45%

იმპორტი

40%

მაი-2020

მაი-2021

მაი-2020

მაი-2021



ფულადი გზავნილები

42%

მაი-2020

მაი-2021



მონეტარული პოლიტიკა

განაკვეთი გამკაცრებულია
და სებ-ის 23 ივნისის
გადაწყვეტილებით 9.5%-ზე
შენარჩუნდა



სავალუტო დაკრედიტება

აპრილის შემდეგ
გაძლირებულია



ვალუტის კონვერტაცია

ფიქსირდება
ზრდა




ტურიზმი

აღდგენა
დაჩქარებულია

ინფლაცია 2021 წლის ბოლოსთვის 7.4%-ს მიაღწევს, 2022 წლისთვის კი 3%-იან სამიზნე ნიშნულზე დაბალი იქნება

მაკრო მიმოხილვა

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) და ინფლაცია
(%, წ/წ)




ინფლაციის პროგნოზში გათვალისწინებული ლარის რეალური ეფექტური კურსის მცირედით გამყარება, ასევე ეკონომიკის ზრდისა და სასაქონლო ფასების არსებული პროგნოზი

ინფლაციის შემცირებისა და ტურისტული შემოდინებების სრულად აღდგენის ფონზე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შერბილებაა მოსალოდნელი

მაკრო მიმოხილვა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე უცხოური და ეროვნული ვალუტით (ნაკადები), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ლიბორი




სავალუტო ინტერვენციების რესურსი კვლავ მაღალია

მაკრო მიმოხილვა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე უცხოური და ეროვნული ვალუტით (ნაკადები), მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ლიბორი

(მილიარდი აშშ დოლარი მარცხ. ღერძი და მლნ აშშ დოლარი მარჯ. ღერძი)




მასშტაბური ინტერვენციების მიუხედავად, ეროვნული ბანკის რეზერვები დაახლოებით პანდემიამდელ დონეზეა, რაც მთავრობის მიერ მოზიდულმა დაფინანსებამ განაპირობა

*მეთოდოლოგიის მიხედვით, არ შედის მსფ-ისგან მთავრობისთვის ნასესხები ~ 200 მლნ აშშ დოლარი

წყარო: სებ, ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალის გამოთვლები

დოლარი/ლარის კურსი წლის ბოლოსთვის 3.0-3.3 ინტერვალშია ნაპარაუდები

მაკრო მიმოხილვა



ლარის გაუფასურების ფაქტორები:

- > სუსტი თურქული ლირა
- > 2022 წლის შესაძლო დეფლაცია
- > Fed-ის ნაადრევი გამკაცრება და აშშ დოლარის გაძლიერება
- > პანდემიის გახანგრძლივება

ლარის გამყარების ფაქტორები:

- > ტურიზმის აღდგენა
- > ბიუჯეტის საგარეო დაფინანსება
- > სებ-ის რეზერვები
- > 2021 წლის მაღალი ინფლაცია
- > ლარის გამკაცრებული განაკვეთი
- > სავალუტო სესხების გააქტიურება
- > აშშ დოლარის დასუსტება



საქტორული მიმოხილვა

საერთაშორისო ინდექსები: საქთორების უმეტესობა ზრდას განაგრძობს; კრე-კრიზისულ დონეს ავიაციის და ნავთობის & გაზის ინდუსტრიები ჩამორჩება

საქთორული მიმოხილვა

გლობალურ ბაზრებზე აქციების ფასების დინამიკა 2019 წლის დეკემბრიდან 2021 წლის ივნისის ჩათვლით (დეკ 2019=100)



პროგნოზები: ინდუსტრიების უმეტესობაში აღდგენა დაჩქარებულია, შედარებით მაღალი ზრდის ტემპით საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული სექტორები გამოირჩევა

სექტორული მიმოხილვა

ზრდის მოლოდინები შერჩეულ სექტორებში

(2019=100; ბრუნვა (ლარი) თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)




- > 2021 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკის გამოცოცხლების და მოსალოდნელზე უკეთესი სექტორული შედეგების ფონზე, ინდუსტრიების უმეტესობაში აღდგენის პროგნოზი გაუმჯობესებულია
- > მოლოდინი შედარებით მეტადაა გაზრდილი ფარმაციის, FMCG-სა და თანსაცმლით ვაჭრობის სექტორებში, რაც ნაწილობრივ ფასების ზრდის ეფექტითაა განპირობებული

შერჩეულ ქვეყნებში ტურისტული ვიზიტების აღდგენა არაერთგვაროვანია

საქართველოში მიმოხილვა

საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები ქვეყნების მიხედვით

% ცვლილება 2019 წელთან შედარებით



თებ-2021: ავიაშიმოსვლის შეზღუდვა სრულად გაუქმდა

შედარებით მსუბუქი შეზღუდვები საერთაშორისო ტურიზმზე


პანდემიის საწყის ეტაპზე (II-III კვ 2020) საზღვრების გახსნა, რის შედეგადაც ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გაუარესდა

სასტუმროები: შესამჩნევია გაუმჯობესება დიდი სასტუმროების დატვირთულობაში; კვლავ დაბალი მაჩვენებელი მცირე და საშუალო სასტუმროებში

საქართველოში

საშუალო დატვირთულობა სასტუმროს ზომის მიხედვით


%



> ადგილობრივი დამსვენებლების გააქტიურების და ტურისტული ვიზიტების შედარებით გაუმჯობესების პარალელურად, დატვირთულობა გაზრდილია საქართველოს მასშტაბით. დიდი ბრენდირებული სასტუმროები დატვირთულობის მაჩვენებლის აღდგენაში უპირატესობას ინარჩუნებენ

საშუალო დღიური ფასი (ADR) შერჩეულ დიდ, ბრენდირებულ სასტუმროებში

აშშ დოლარი, დღგ-ის გამორიცხვით, % ცვლილება 2019 წელთან შედარებით




> შერჩეულ დიდ სასტუმროებში საშუალო დღიური ფასში მიმდინარე წლის განმავლობაში პოზიტიური დინამიკა აღინიშნება, თუმცა პრე-კრიზისულ დონეს კვლავ მნიშვნელოვნად (-34% II კვ '21-ში, 2019 წელთან შედარებით) ჩამოუვარდება დაბალი დატვირთულობის ფონზე

სასტუმროები: უნაღდო ხარჯვის აღდგენა შესაძლებელია აჭარასა და კახეთში; დინამიკა ეტაპობრივად უმჯობესდება თბილისში და სხვა რეგიონებში

საქტორული მიმოხილვა

უნაღდო დანახარჯები სასტუმროებში რეგიონების მიხედვით

% ცვლილება 2019 წელთან შედარებით; აშშ დოლარი




- > აჭარაში გაუმჯობესება დაჩქარებულია ბათუმის აეროპორტში საჰაერო მიმოსვლის გააქტიურებით. მაისში 2019 წლის საერთაშორისო ვიზიტების 65% აღდგა
- > შედარებით სწრაფი აღდგენა კახეთის სასტუმროებში ადგილობრივი ტურიზმით არის განპირობებული, რასაც თბილისთან სიახლოვე უწყობს ხელს

სასტუმროები: განახლებული მოლოდინებით REVPAR-ის კლება დოლარში პრე-კრიზისულ დონეს 2023 წელს 12%-ით ჩამორჩება

საქტორული მიმოხილვა

სასტუმროების ძირითადი მაჩვენებლები

2019 წლის დონე = 100




- > 2021 წელს საშუალო დატვირთულობის მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით დაახ. 55%-ით ნაკლები იქნება. დატვირთულობა შესამჩნევად აღდგება 2022 წელს (+15%), ხოლო 2023 წელს - კრიზისამდელ ნიშნულს 5%-ით ჩამორჩება
- > მაღალი მიწოდებისა და მოთხოვნის ეტაპობრივი დაბრუნებით განპირობებული სასტუმროებს შორის დიდი კონკურენციის გამო, სასტუმროების ფასების აღდგენას შედარებით მეტი დრო დასჭირდება და 2023 წლისთვის პრე-კრიზისულ მაჩვენებელს 7%-ით ჩამორჩება

დეველოპმენტი: გაყიდვების დინამიკა აღდგა თბილისში; შედარებით ნელი ტემპით უმჯობესდება ბათუმში

საქტორული მიმოხილვა

საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციები

(% ცვლილება 2019 წელთან შედარებით)



> 2021 პირველ ნახევარში თბილისში ბინებზე მოთხოვნა პრე-კრიზისულ დონეს გაუტოლდა. ხოლო ბათუმში დაფიქსირებული კლება ბაზრის **ტურიზმზე დამოკიდებულებით** და **არარეზიდენტების მოთხოვნის მაღალი წილით** არის განპირობებული (2019 წელს აჭარაში გაცემული იპოთეკური სესხების 28%, შერჩეული დიდი დეველოპერების გაყიდვებში 86%)


> ბათუმში რეალიზაციის დინამიკა უმჯობესდება 2021 წლის დასაწყისიდან (-14% პირველ 6 თვეში) და **მეორე კვარტალში პრე-კრიზისულ დონეს მიუახლოვდა**. ტურიზმის აღდგენა გაუმჯობესების ტემპს დააჩქარებს

დეველოპმენტი: თბილისში მოთხოვნა გაზრდილია როგორც ახალ, ასევე ძველ ბინებზე

საქტორული მიმოხილვა

საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციები

(% ცვლილება 2019 წელთან შედარებით)



> ძველ ბინებთან შედარებით, **თბილისში მოთხოვნა მდგრადია ახალ ბინებზე**. იპოთეკების სუბსიდირების პროგრამის დასრულების მიუხედავად, 2021 წლის განმავლობაში ტრანზაქციების რაოდენობა 2019 წლის დონეს აღემატება (+2% 6 თვეში)

> შედარებით ნელი ტემპით უმჯობესდება ძველი ბინების რეალიზაცია (-3% 6 თვეში), თუმცა **2021 წლის მეორე კვარტალში პრე-კრიზისულ დონეს გადააჭარბა**

დეველოპმენტი: იჭარის შემოსავლიანობის კლებადი ტენდენცია მაისში ზრდამ შეცვალა, რაც ბინების გასაქირავებელი ფასის გაუმჯობესებამ განაპირობა

საქტორული მიმოხილვა

თბილისის ქირის შემოსავლიანობის (%), ფასისა და ქირის ინდექსების (აშშ დოლარი) დინამიკა

(% ცვლილება 2019 წელთან შედარებით)




- > პანდემიის დასაწყისიდან, თბილისის ქირის შემოსავლიანობა კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც ქირის (-23% მაი-21 vs. თებ-20) გასაყიდ ფასზე (-6%) მეტად შემცირებით იყო განპირობებული
- > მაისში თბილისის ქირის შემოსავლიანობა აპრილთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 7.1% შეადგინა. შემოსავლიანობა გრძელვადიან საშუალო მაჩვენებელს (8.4%) ჩამორჩება, თუმცა მოსალოდნელია, რომ ქირის ზრდის ხარჯზე გაუმჯობესების დინამიკა მომდევნო თვეებშიც გაგრძელდეს

დეველოპმენტი: გაყიდვები კრიზისამდელ ნიშნულს 2021 წელს 6%-ით გადააჭარბებს

საქტორული მიმოხილვა


დეველოპმენტის ძირითადი მაჩვენებლები

2019 წლის დონე = 100



გაყიდული ბინების რაოდენობა

- > თიბისი კაპიტალის მოლოდინით, თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების 2021 წლის გაყიდვები 2019 წლის ნიშნულს 9%-ით გადააჭარბებს
- > მოსალოდნელია, რომ ბათუმის საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვები 2021 წელს პრე-კრიზისულ დონეს გაუტოლდეს



საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი

- > თბილისში ფასის კლება დოლარში მოსალოდნელი არ არის და 2021 წელს პრე-კრიზისულ ნიშნულს დაუბრუნდება, ხოლო 2022 წელს 2%-ით გადააჭარბებს
- > ბათუმში ბინის გასაყიდი ფასი დოლარში 2021 წელს 2019 წლის ნიშნულს მხოლოდ 3%-ით ჩამორჩება, 2022 წელს კი 2%-ით მეტი იქნება

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად, თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ები), პარტნიორ(ები), თანამშრომელ(ები), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ები) ან აგენტ(ები) („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს ამკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულებდა. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს–ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

მერი ჩაჩანიძე, CFA
მმართველი დირექტორი

ანდრო თვალთაშვილი
უფროსი ასოცირებული მკვლევარი

ლუკა ჩიგილაშვილი
ასოცირებული მკვლევარი

რევაზ მაისურაძე
კვლევის ანალიტიკოსი

მაკა ქორიძე
უმცროსი კვლევის ანალიტიკოსი

ოთარ ნადარაია
მთავარი ეკონომისტი, თიბისი ჯგუფი

ანა მჟავანაძე
უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი), მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება

ჯული ავლოხაშვილი
ანალიტიკოსი

ლევან მიქელაძე
ანალიტიკოსი



თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge